ცნობის ფურცელი

№ 2034 ოთხშაბათი, 8 იანვარი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2034

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—8 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“ ტელეფონი № 372

მიიღება ხელის მოწერა **1903** წლისათვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ცნობის ფურცელ“-ზე
სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ
(წელიწადი მერვე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:
კავკასიასა და რუსეთში: 1 წლით—6 მ., 6 თვით—4 მ., 1 თვით—75 კ.
საზღვარ-გარედ: 1 წლით—9 მ., 6 თვით—5 მ., 1 თვით—90 კ.
წლიურ ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მან., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ
„მოამბე“-ზე
(წელიწადი მეათე)

ფასი ჟურნალისა
კავკასიასა და რუსეთში: 1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ. 3 თვით—3 მ.
საზღვარ-გარედ: 1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მ.

ვინც **„მოამბეს“** მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და **„ცნობის ფურცელი“** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მ. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ ხელის-მომწერთ პრემიად გაეგზავნებათ
შოთა რუსთაველის
ახალი სურათი,
წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის საფოტოტიპიოში დამზადებული. სურათი ზომით 9×12 ვერშოკი იქნება. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ 30 კაპეიკი უნდა წარმოუდგინონ რედაქციას სურათის გასაგზავნად. ეს სურათი ცალკე 1 მან. 50 კაპ. ეღირება.

მომავალ წელს **„მოამბე“**-ში, სხვათა შორის, დაიბეჭდება რუსთა შესანიშნავ მწერლის **ლ. ნ. ტოლსტოის** რომანის „ვოინა ი მირ“-ის თარგმანი, „რომის ისტორია“ და სხვა.
რედაქცია და **კანტორა** იმყოფება ბანკის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

ელისაბედ ივანეს ასული კოლუბანსკისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 9 იანვარს ნახევარ წლის თავზე იმის შვილის

ანნა გიორგის ასულის კოლუბანსკის

გარდაცვალებისას გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი კალოუბნის წმ. ღვთის მშობლის ეკკლესიაში 12 საათზე. (1—1)

წარმოდგენა მე-28. ტელეფონი 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 9 იანვარს, 1903 წელს
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

სამეფო ტახტისათვის ანუ
იაკობელლები

დრამა 5 მოქმ. ფრანსუა კოპპესი. თარგმანი პ. ყიფიანისა და გ. ყიფშიძისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, რიონელი; ბ-ნნი: დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, ქ. შათირიშვილი, გ. ანანიაშვილი, საფაროვი, რომანიშვილი, ქლენტი და სხვ.

ადგილების ფასები ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: **„მეღანიას თინეში“** (ნ. ცაგარლის საბენეფისოდ), **„[illegible] ხიდი“**, **„ნორა“**, **„გრიგალი“**.
რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ს ი ა

„ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა, რომელთაც შემოიტანეს საწევრო ფული 23—31 დეკემბრის განმავლობაში:

№№	სახელი და გვარი	მ.	კ.
1	მღ. პლატონ გამრეკელისაგან.	6	—
2	კიტა აბაშიძისაგან	6	—
3	პეტრე ივან. იაევისაგან. . .	6	—
4	მღ. სპირიდ. გორდულაძისაგან.	6	—
5	ანდრია დიმ. დეკანოზიშვილ.	6	—
6	ლუარსაბ მ. გედევანიშვილის.	6	—
7	მიხეილ გ. ტარასიშვილისაგან.	6	—
8	ალექსანდ. დ. ფარნიაშვილ.	6	—
9	გიორგი ცერცვაძისაგან. . .	6	—
10	განჯელ წევრებისაგან (ამათ გვარებს შემდეგ გამოვაცხადებთ)	35	—
		89	—

ე ქ ი მ ი

ვ. ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ბანკის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

ე ქ ი მ ი

დავით ალექსანდრეს ძე
გედევანიშვილი

იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და სწამლობს ელექტრონით საღამოს 5—6 საათამდის.
[illegible] ქუჩა, სახლი მარტინოვსკისა, [illegible] კრუჟოკის პირდაპირ. (45—42)

სრულიად ახლად გადაკეთებული
„ი უ ჟ ნ ი ე ნ ო მ ე რ ა“
მოხდენილად, წმინდად და შესაფერისად მოწყობილ ოთახებით; მოსამსახურე ქალებითა და კაცებით; ყოველგვარად მოწყობილია საცხოვრებლად. ნომრების ფასი სამი აბაზიდან დაწყებული და უფრო ძვირად; თვიურად 15 მან. და მეტიც. **ბარონის ქუჩა**, ფოსტისა და ტელეგრაფის ახლო, ქალაქის შუაგულში. (6—3)

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—4-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.
ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.)

რუსთა პუბლიცისტების აზრი ჩვენში ავაზაკობის მოსპობის შესახებ

ავაზაკობა ამიერ-კავკასიაში დიდი ხანია იქცევს საყოველთაო ყურადღებას. ამ ბოროტ და მეტად სამწუხარო მოვლენას დიდი ვნება მოაქვს მთელის ქვეყნისათვის და საკვირველიც არ არის, რომ ყველანი განსაკუთრებულის ყურადღებით არკვევდნენ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ ეშველოს საქმეს, რა გზითა და ღონისძიებით აღმოიფხვრას ავაზაკობა ჩვენს მხარეში. აქ საჭირო არ არის სათითაოდ იმ ვნების აღნიშვნა, რომელიც ქვეყნისათვის მოაქვს ავაზაკობას: ეს ყველამ კარგად იცის; ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ამ ბოროტების საწინააღმდეგოდ ბრძოლისათვის ქვეყანა იხდის თითქმის 3 მილიონ მანეთს საერობო ხარჯს! ადვილად წარმოსადგენია, რა მძიმე ტვირთად აწვება ხალხს ამდენი ხარჯის გაღება,—ხალხს ისედაც გალატაკებულსა და დაუძლურებულს. მარტო ეს გარემოებაა საკმარისი, რომ ავაზაკობა აღიარებულ იქმნას ქვეყნის დამღუპველ მოვლენად, რომელთან ბრძოლა აუცილებელი საჭიროებაა.

მაგრამ როგორ უნდა მოეწყოს ეს ბრძოლა, რომელი გზა უნდა იქმნას არჩეული— აი, მთავარი საკითხი ეს არის. ამის შესახებ მთავრობაშიაცა და მწერლობაშიაც ორგვარი აზრი არსებობს, ორგვარი მიმართულება, რომელნიც დიამეტრალურად ეწინააღმდეგებიან ერთმანერთს. აღვნიშნავთ მოკლედ ორსავე მიმართულებას.

ერთნი ჩვენში ავაზაკობის გავრცელების მიზეზად სთვლიან მხოლოდ პოლიციურ ღონისძიებათა ნაკლულობას. მათის აზრით, საჭიროა რეპრესიულ საშუალებათა გაძლიერება და ავაზაკობა მოისპობა თავის და თავად. უნდა ვსთქვათ სიმართლე, რომ ამ აზრის მიმდევარნი ბედს ვერ დაემდურებიან: მთავრობას არა დაუზოგვია-რა ამიერ-კავკასიაში პოლიციურ და სხვა-და-სხვა ადმინისტრატიულ ღონისძიებათა გაძლიერებისათვის; ბოლოს დროს კი დაწესებულ იქმნა მთელი რაზმი, რომელიც განაწილებულია მთელს ქვეყანაში და რომლის შენახვა 3 მილიონ მანეთად უზის ხალხს. მიუხედავად ამისა ავაზაკობა არა თუ ისპობა, პირიქით, კიდეც ძლიერდება.

ამიტომაც სხვები სცდილობენ უფრო ღრმა მიზეზები მოუძებნონ ამ ბოროტებასა და სხვა საშუალებანი აღნიშნონ მის მოსასპობლად. ავაზაკობის გავრცელების მიზეზებად ისინი ასახელებენ ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა მოუწყობლობას, ხალხის ეკონომიურ გაჭირვებას, საზოგადო უკულტურობას (მაჰმადიანთ პროვინციებში), სასამართლო და ადმინისტრატიულ წეს-წყობილების ნაკლულევანებათ და სხვათ. ამის მიხედვით ისინი ამბობენ, რომ სანამ ქვეყანას არ ეღირსება სხვა-და-სხვა გვარი იურიდიულ-ეკონომიური რეფორმები, სანამ ფართოდ არ იქმნება დაყენებული ხალხის სწავლა-განათლების საქმე (კ. პ. იანოვსკის აზრით), მანამდის ავაზაკობა ვერ აღმოიფხვრება.

ეს ორი მიმართულება, ორი აზრი მაშინვე დაიტაკებიან, როდესაც ავაზაკობა გამწვავდება. აი ახლაც, ფოთში ხაზინის გაძარცვის შემდეგ, ალაპარაკდნენ სატახტო ქალაქის გაზეთები და ახლაც ორი სხვა-და-სხვა აზრი ებრძვის ერთმანერთს. პირველ მიმართულების წარმომადგენლად ამ ხანად გამოდის ბ. ჩიჩი. ის მთელ წერილსა ჰბეჭდავს „ნოვ. ვრემ.“-ში და ამტკიცებს, რომ ერთად-ერთი გზაა საქმეს უშველოთ—ამიერ-კავკასიის სოფლებში „კოზაკთა და პლასტუნთა ეკზეკუციები დავაწესოთო“. საბედნიეროდ, იმავე „ნოვ. ვრ.“-ში ჩიჩის „სისხლით შეღებილ ღონისძიებათა“ წინააღმდეგ სწერს ბ. სილოვიჩი. უკანასკნელი სამართლიანად შენიშნავს, რომ ეგზეკუცია ახალი ხილი არ არის კავკასიაში: კარგა ხანია მას აწარმოვებდნენ, მაგრამ ვნების მეტი არაფერი მოუტანიაო; ხოლო ვნება მოიტანა მით, რომ მშვიდობიან ხალხს ავიწროვებდა და აწიოკებდა და იმით კიდევ უფრო ამწვავებდა უბედურ მდგომარეობასაო და ამრავლებდა ავაზაკობის მიზეზებსაო. ავაზაკობაო, განაგრძობს ბ. სილოვიჩი, მეტად რთული მოვლენაა და მისი მოსპობა ერთის კინწისკვრით არ შეიძლება; ჩემის აზრით, საჭიროა გამოვიჩინოთ ნდობა ადგილობრივ მცხოვრებთადმი და დავეკითხოთ მათ: რა ეჭირვება ქვეყანას, რა აკლია მას, რა უნდა გავაკეთოთ, რომ ავაზაკობას ნიადაგი მოესპოსო; ამბობენ, ავაზაკობა მოისპობა, თუ ეკზეკუციებს შემოვიღებთო; მაგრამ განა საერობო რაზმის დაწესებამ უშველა საქმეს?! არა, ეს ღონისძიება უნდა უკუვაგდოთ და კულტურულ საშუალებათ მივმართოთ, ხოლო ამგვარ საშუალებათა აღმოსაჩენად ადგილობრივ მცხოვრებთ უნდა დავეკითხოთო. შემდეგ ბ. სილოვიჩი არღვევს იმ მოსაზრებათ, რომლის ძალით ზოგიერთები ამტკიცებენ: ავაზაკობა მოისპობა, თუ ამიერ-კავკასია მჭიდროთ იქნება დასახლებული რუსებით და ადმინისტრაციის მოხელენი მარტო რუსები იქნებიანო. ავტორი სამართლიანად აფრთხილებს მთავრობას, რომ გადასახლების საქმე ფრიად ძნელი საქმეა; მისი აჩქარებით გადაწყვეტა ავნებს მკვიდრთაცა და გადასახლებულ რუსთაცაო. საჭიროა დანამდვილებით ვიცოდეთ, სად და რამდენის დასახლება შეიძლება ისე, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი არ შევავიწროვოთო, თორემ ამით კიდევ უფრო შეეწყობა ხელი ავაზაკობის გაძლიერებასაო, გარდა ამისა ისიც არის სახეში მისაღები, რომ ამიერ-კავკასიის ჰავას ვერ ეგუება რუსი: ათასი მაგალითი ყოფილა, რომ გადასახლებულნი ამოწყვეტილან ან გაქცეულან. რაც შეეხება იმ აზრს, ვითომ ადმინისტრაცია უთუოდ რუსთაგან უნდა შესდგებოდესო, ბ. სილოვიჩს უკვირს, რა საბუთით ამბობენ ამასაო; განა ადგილობრივ მკვიდრთ თავის ერთგულის სამსახურით არ დაუმტკიცებიათ, რომ ისეთისავე ნდობის ღირსნი არიან, როგორც რუსებიო?!

უნდა აღვიაროთ, რომ ასეთის წერილის წაკითხვა „ნოვ. ვრ.“-ში მეტად სასიამოვნოა. სუვორინის გაზეთი ამ საგანზე წინად სულ სხვა აზრისა იყო და ხშირად უთმობდა ადგილს ჩიჩისებურ წერილებს. ყველაზე უფრო სასიამოვნო ის არის, რომ ბ. სილოვიჩი საჭიროდ სთვლის ადგილობრივ მცხოვრებთა გამოკითხვას: მათგან გავიგოთ, რა ეჭირვება ქვეყანასაო. ადგილობრივ პრესსას და სხვა-და-სხვა საზოგადო დაწესებულებათ, როდესაც კი შეძლება ჰქონიათ, გამოუთქვამთ თავისი აზრი ავაზაკობის საწინააღმდეგო ბრძოლის შესახებ; ეს აზრი სრულიად ეთანხმება იმათ შეხედულებას, ვინც ამბობს, რომ ბოროტების მოსპობა მხოლოდ კულტურულ ღონისძიებათა მიღებით შეიძლება. პოლიციურ საშუალებათა გაძლიერება, ეკზეკუციები და კოზაკები უფრო წაახდენენ საქმეს, ხოლო მათ გასაძლიერებლად საჭირო ფული უფრო დაალარიბებს ხალხს და გაამაგრებს იმ ნიადაგს, რომელზედაც აღმოცენდა გავრცელდა ავაზაკობა.

საზღვარ-გარედ

გერმანია. როცა ეხლანდელ რეიხსტაგის უმრავლესობა კანონისა და სინიდისის წინააღმდეგ იქცეოდა, რომ გერმანიის თავადაზნაურობის მადა გახსნილობა დაეკმაყოფილებია ხალხის ხარჯით, ალბად, იმის იმედი ჰქონდა, რომ მომავალ არჩევნებამდე ეს ხალხი დაივიწყებდა ან მწარედ არ ემახსოვრებოდა უმრავლესობის ეს მოქმედება და ისევ მათ მისცემდა თავისს ხმას. მაგრამ იმედი უსაფუძვლოა, რადგან გერმანიის მხნე დე-

მოკრატია ფხიზლად არის და ხალხი გონს მოჰყავს.

ეხლა ხან მიუნხენში გაუმართავთ მუშებს დიდი მიტინგი, რომელზედაც დეპუტატ ფოლმარს მთელი სამი საათი ულაპარაკნია უმრავლესობის პოლიტიკაზე და სადამოჟნო ტარიფზე. ხუთი ათასზე მეტი დამსწრე სულგანაბული უგდებდა თურმე ყურს მხურვალედ და გატაცებით მოლაპარაკე ორატორს.

სხვათა შორის, ფოლმარს უთქვამს: „კათოლიკე პარტია და მისი მსახური ნაციონალ-ლიბერალები ტყვილა ჰფიქრობენ, რომ ახალ არჩევნებამდე ჩვენი გულ-კეთილი ხალხი შეეჩვია ახალ გადასახადის შემოღების აზრს და თავს კიდევ მოიტყუილებსო: ჩვენი დანიშნულებაა გავაღვიძოთ მძინარე მიხელი (გერმანელი) და თვალი აეუხილოთ, რომ ნამდვილი და ყალბი მეგობარი გაარჩიოს.

კათოლიკე მუშებ შორის, რომელნიც აქამდე ბრმად ენდობოდნენ კათოლიკე პარტიას, უკვე დაიწყო ამ პარტიისათვის საშიში მოძრაობა. ნაციონალ-ლიბერალების ტანისამოსი ყველგან ირღვევა და ყოველი მოქალაქე, რომელსაც კი თავისუფლების სიყვარულის ნაპერწკალი შერჩენია, ზიზღით ზურგს აქცევს ამ პარტიას, რომელიც მსახურად და მორჩილ მონად გაუხდა ყოველ ნაციონალ-ლიბერალებისათვის საძულველ ულტრამონტანებს (კათოლიკე პარტია). ჩვენ კარგად ვიცით თუ რა განზრახვა აქვთ „მოკავშირეთ“ (ცენტრსა და ნაციონალ-ლიბერალებს): ხელი შეახონ საყოველთაო საარჩევნო უფლებას, წაართვან ღარიბ მშრომელ ხალხს უფლება იყოლიოს თვისი წარმომადგენლები! ჩვენ მოგველის ბრძოლა იმისათვის, რაც უძვირფასესი და უწმინდესია ჩვენთვის ქვეყანაზე. ასეთი შეგნება ძალას შეგვმატებს ბრძოლისათვის, საერთო შიში შეგვაერთებს და ძმურ ძლიერ იერიშით გამარჯვება ჩვენი იქნება“.

გაზეთის კორესპონდენცია, საიდანაც ამოვიღეთ ზემოდ-მოყვანილი ადგილი ფოლმარის სიტყვისა, ასე თავდება: „ეჭვს გარეშეა, რომ სოციალ-დემოკრატიის დეპუტატების მამაცობამ, სიმტკიცემ და სიმართლემ მთელ პარტიას შესძინეს მეგობრები ისეთ წრეებშიაც, სადაც ეს მოსალოდნელი არ იყო; სამაგიეროდ უმრავლესობის მოქმედებამ გამოიწვია უნდობლობა ხალხის უფლებათა ვითომდა დამცველებისადმი. მომავალ არჩევანის დროს ბრძოლა სასტიკი იქნება და, მოსალოდნელია, რომ სასიკვდილოდ დამარცხდება პარტია (ნაციონალ-ლიბერალები), რომელსაც ერთ დროს უდიდესი გავლენა ჰქონდა გერმანიის სახელმწიფო ცხოვრებაზე“.

◆ პოზნანში ისევ ძველი ამბებია... პოზნანის პროვინციის ყველა გერმანულ ეკლესიაში ახალ წელიწადს წაკითხულ იქმნა ადგილობრივ გერმანულ სამღვდელოების უფროსის ბ. გეზეკილის სიტყვა. გეზეკილი მიჰმართავს პოზნანში დასახლებულ გერმანელებს ჰსთხოვს გაიძლიერონ მამულის-შვილური გრძნობანი, რადგან „პოლონიზმი იერიშით მოდის ჩვენზედა. ყველამ იცის, რომ მიუხედავათ საკოლონიზაციო კომისიის ყოველ-გვარ ღონისძიებათა, ხუთი წლის განმავლობაში (1897—1901) პოლონელების მიწათ-მფლობელობას მიემატა პოზნანში 22,077 ჰექტარი მიწა. ისიც ცნობილია, რომ პოზნანის დიდძალ ქალაქებში ერთი სავაჭრო საწყობი მეორეზე, ერთი სახლი მეორეზე პოლონელების ხელში გადადის; გერმანელი ვერ უძლებს ამ ქალაქების ცხოვრების მძიმე პირობებს და დასავლეთისაკენ მიდის. უეჭველია, რომ ეს გერმანელის მამულიშვილურ გრძნობების სისუსტის ნიშანი არისო“.

ღვთის ტაძარში, სადაც სათნოებასა, ძმობასა და სიყვარულზე უნდა იყოს მუდამ ლაპარაკი, მღვდელი აგონებს მსმენელს ებრძოლე პოლონელს, წაართვი ლუკმა პური, რადგან გერმანელი არ არის და არც სურს გაგერმანელებაო. მაგრამ ერთი რამ არის აქ სანუგეშო: თუ ყოვლის შემძლე მთავრობა, ნახევარი მილიარდი ფული, საკოლონიზაციო საზოგადოების ენერგიული სისტემატიური მოქმედება ვერას გახდა პოლონელებთან, მღვდლის უსინიდისო ქადაგებამ რა უნდა გააწყოს.

ინგლისი. 1903 წლის პირველ იანვრიდან ინგლისში დაიწყო მოქმედება ახალმა კანონმა ლოთობის წინააღმდეგ. მოგვყავს ახალ კანონის უმთავრესი მუხლები: სმა შეიძლება, მაგრამ გონების დაკარგვამდე არა. ნასვამ კაცს, რომელიც მტკიცედ ვერ სდგას ფეხზე ქუჩაში, რესტორანში, თეატრში და საზოგადოთ ყველგან, სადაც საზოგადოებაა, იჭერს პოლიცია და ჯარიმას ახდევინებს ან ერთ თვემდე დატუსაღებას უწყვეტს. გარდა ამისა, მოსამართლეს შეუძლია მოსთხოვოს ასეთ პირს ან გირაო ან ორი კაცის თავდებობა, რომ შემდეგში რიგიანად მოიქცევა. თუ ბრალდებული ვერც ერთსა და ვერც მეორეს ვერ წარმოადგენს, მოსამართლეს უფლება აქვს სამის თვით დააპატიმროს.

ვინც სამჯერ იქმნება შემჩნეული სიმთვრალეში, ერთმევა უფლება მაგარ სასმელების ხმარებისა სამის წლის განმავლობაში. ვინც ასეთ „უფლება ახდილს“ მიჰყიდის ან მიაწვდის მაგარ სასმელს, გადახდება 10 გირვანქა სტერლინგი (100 მ.) ან ჩასმენ საპატიმროში, სადაც მძიმე სამუშაოებია.

თუ ვინმე ლოთად იქმნა ცნობილი, ცოლს ან ქმარს ცალკე ცხოვრების უფლება აქვს. თუ კაცია ლოთი, გაყრილ ცოლს უნდა აძლიოს გადაწყვეტილი შეწევნა; თუ ქალია ლოთი, უფლება არა აქვს რამე ითხოვოს.

განსაკუთრებით სჯიან იმ ნასვამ კაცს, რომელსაც თან პატარა ბავშვი ჰყავს; ზარხოშადაც რომ იყოს, მაინც დასჯიან.

პირველ დღესვე თურმე ბლომა ხალხი იქმნა დასჯილი, განსაკუთრებით ბევრი იყო თხოვნები ლოთ მეუღლისაგან განთავისუფლების შესახებ და არა მარტო დაბალ წრეებში. ვესტ-ენდის პოლიციაში, სხვათა შორის, მისულა ვიღაც „სერი“ და უთხოვია განეთავისუფლებიათ იგი „ლედი“-საგან, რომელიც გამუდმებულ ლოთობაში ატარებს თურმე ცხოვრებას. იმავე დღეს მეორე უბანში მისულა ქუჩის მგველი და გამოუცხადებია, რომ ჩემი ცოლი ყველაფერს ჰყიდის ან აგირავებს და მუდამ ლოთობსო; საშობაოდ ნასესხი ფულიც კი სამიკიტნოში გაუქანებია. მოსამართლეს ორივე მთხოვნელი დაუკმაყოფილებია.

ახალი კანონი ლოთობას, რასაკვირველია, ვერ მოსპობს, იგი პალიატიური ზომაა, მაგრამ მაინც დიდათ სასარგებლოა, რადგან მოსპობს ამ საშინელ სენის უმახინჯეს ფორმებს. ისიც კმარა, რომ დედ-მამას აღარ შეეძლებათ ილოთონ სამიკიტნოებში თავიანთ პატარა შვილებთან ერთად.

ახალი ამბავი

◆ შაბათს, 4 იანვარს, ტფილისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით **სასოფლო მეურნეობის მრეწველობის საჭიროებათა** გამომრკვევ საგუბერნიო კომიტეტს კრება ჰქონდა სექციათა მოხსენების განხილვის გასაგრძობად. კრებამ პირველად განიხილა მოხსენება იმ სექციისა, რომელმაც თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის თავმჯდომარეობით შეიმუშავა საკითხი სასოფლო-სამეურნეო კაპიტალის მოწყობის შესახებ ტფილისის გუბერნიაში. მოხსენებასთან ერთად განიხილეს ტფილისის გუბერნატორად ნამყოფის თავ. შერვაშიძის მიერ შემუშავებული პროექტი სამეურნეო თანხის წესდებისა და ასეთივე ახლად შემუშავებული პროექტი ტფილისის გუბერნატორის ბ-ნ სვეჩინის მიერ. საგუბერნიო კომიტეტმა შეადარა ორივე პროექტი და საუკეთესოდ სცნო ბ-ნ სვეჩინის მიერ შემუშავებული პროექტი. კარგა ხნის კამათის შემდეგ სხდომამ გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა, რომ დამტკიცებულ იქნას ბ-ნ სვეჩინის მიერ შედგენილი პროექტი წესდებისა, რომელიც სახელმძღვანელოდ უნდა იხმარონ სოფლის საზოგადოებებმა სამეურნეო თანხის შედგენა-წარმოების საქმეში. დღეს, 8 იანვარს, საგუბერნიო კომიტეტი განაგრძობს სამეურნეო საჭიროებათა პროგრამის განხილვას.

◆ პარასკევს, 3 იანვარს, ტფილისის სასულიერო სემინარიაში სემინარიის რექტორის თავმჯდომარეობით **კრება ჰქონდათ ტფილისის ეპარქიის სასულიერო სასწავლებლების მასწავლებლებს** ზოგიერთ საპედაგოგიო საკითხების განსახილველად. კრებამ, სხვათა შორის, ლაპარაკი ჩამოაგდო გაკვეთილების რიცხვის შემცირების შესახებ. ზოგიერთ საგანში ყოველ კვირა დანიშნულია 30 გაკვეთილი. კრებამ გადასწყვიტა შუამდგომლობა აღძრას უმაღლეს სასულიერო მთავრობის წინაშე, რომ სასწავლებლებში დაწესებულ იქმნას კვირაში არა უმეტეს 23 გაკვეთილისა. იმავე კრებაზე განიხილეს მოხსენება იმის შესახებ, რომ მოსპობილ იქმნას ბერძნულის ენის სწავლება. როგორც მკითხველებმა იციან, სასულიერო მთავრობამ ტფილისის გუბერნიის სასულიერო სასწავლებლებში დასტოვა ბერძნულის სწავლება, ხოლო ქუთაისისაში ლათინურისა. კრებამ, მიიღო რა სახეში ის გარემოება, რომ ძველ ბერძნულ ენის სწავლებას, რომელიც დიდ დროს ართმევს მოსწავლეებს, ცხოვრებაში მოზარდ ახალგაზრდობისათვის თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა, რომ სრულიად გაუქმებულ იქმნას ბერძნულის ენის სწავლება ტფილისის ეპარქიის სასწავლებლებში.

◆ 31 დეკემბერს, დილის $7^{1}/_{2}$ საათზე, დაბა **ონში ორჯელ ზედი-ზედ მიწის-ძვრა მომხდარა.** დედა-მიწის გულიდან ორჯელვე გრგვინვა მოისმოდა თურმე.

◆ ქალაქის ზოგიერთ შეუძლო მესაკუთრეს დიდი ხანია სათხოვარი შეუტანია ქალაქის გამგეობაში სახლზე მიწერილ **გადასახადის დარჩენილ ფულის მიღებისა**; ამისთანა სათხოვარი დღეს გამგეობაში ორასზე მეტია თავ-მოყრილი და არავინ არის ხელმოკლე მთხოვნელს ყური ათხოვოს. ძველ საბჭოს ცალკე კომისია ჰყავდა არჩეული ამისთანა სათხოვრების გასარჩევად, მაგრამ ამ კომისიას შარშან ორი კრების მეტი არა ჰქონია და გაურჩეველი სათხოვრები გაჭირვებულ მევედრეთა ახალ საბჭოს [illegible] გასარჩევად. გამგეობაც ვერ არჩევს ამ სათხოვრებს და საჭიროა საბჭომ დაუყოვნებლივ აარჩიოს კომისია და დაუყოვნებლივ განიხილოს ეს სათხოვრები, რომ ხელმოკლე მთხოვნელთ ცოტა შეღავათი მიეცეთ მაინც. გამგეობის კარები და დერეფანი დღე-მუდამ სავსეა ამ მთხოვნელებით, მაგრამ ამაოდ მიდი-მოდიან, რადგან მათი სათხოვარი, წელიწად ნახევარზე მეტია, გაურჩეველი თავ-მოყრილია გამგეობის უჯრებში.

◆ როგორც გვატყობინებენ, **ყარსის ოლქზე** ხელ-ახლა ამოვარდნილა 6 იანვარს საშინელი ქარ-ბუქი. მატარებლების შეუწყვეტელი მიმოსვლა შეუძლებელია. ჯერ-ჯერობით არ იციან, როდის შესძლებენ მატარებლები მიმოსვლას მთელს შტოზედ. მატარებლები 10—15 საათით იგვიანებენ თურმე.

◆ დღეს, 8 იანვარს, სამეურნეო საზოგადოების სადგომში **კრება ექნება** კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოებას. მიმდინარე საქმეების განხილვის გარდა, კრებამ უნდა აარჩიოს თავმჯდომარე და გამგეობის წევრნი.

◆ **საზოგადო განათლების კურსები** ტფილისის 1-ლ გიმნაზიაში დეკემბრის თვიდან შეჩერებული იყო. დღევანდელ დღიდან ეს კურსები კიდევ გაიხსნება.

◆ ამბავი მოვიდა, რომ ყაზახის მაზრის უფროსის თანაშემწე ყუსუფ-ბეკ-ამირეჯიბოვი

ფელეტონი

სვანეთის რამე რუმე

სვანეთის გზები.—ენკენობა და ცაგერი.—მურის კლდეები.—ქურდობა.—ფიცის გატეხა.—ძველი და ახალი ფიცი.—სწავლა-განათლება.—ლეჩხუმის თავად-აზნაურობა და სკოლა ცაგერში.

დალახვროს ღმერთმა ეშმაკი!.. ბევრი რამა მაქვს სათქმელი, მაგრამ ვერ მომიხერხებია! მიზეზი? ჰმ! ვითომ არ იცი, მკითხველო! უთავისუფლობა, პირში ბურთის ჩაჩრა და სხვა... თავისუფლებას რომ ვახსენებ, მკითხველო, ეგებ გაიკვირვო, მაგრამ ნუ გაგიკვირდება: მე თავისუფალს სვანეთში დავიბადე, ჩემი წინაპარნი თავისუფლები იყვნენ და ეს რომ გამახსენდა, იმიტომ ვიწყე თავისუფლებაზე ლაპარაკი! სხვა არა იფიქროთ-რა... ის დრო რომ იყოს, ამდენ ბოდიშს არ მოვიხდიდი და ბევრს რასმეს ვიტყოდი... მაგრამ ეხლა ის დრო აღარ არის და ისევ ისა ვსთქვათ, რაც დაკნინებულს ჩვენს ცხოვრებას შეეხება...

არ იქმნა და არაფერი ეშველა სვანეთის გზებს: ამ ბოლოს დროს რაღაც აღარავინა ჰფიქრობს გზებისათვის. გუბერნატორის მოსვლისათვის შეაკეთეს და მერე-კი ისევ ღვთის ანაბარას გაუშვეს. ყველაზე უფრო ცუდი გზები ს. ლენტეხსა და ცაგერს შუაა. ხიდები ხომ სულ უვარგისია. ამის მიუხედავად სვანები მაინც ბლომად მიეშურებიან საენკენობოდ ცაგერისაკენ, ზოგს მარილი მოაქვს, ზოგს სიმინდი, რომ ზამთარში ოჯახი გამოჰკვებოს, ზოგს რა და ზოგს კიდევ რა. მართალია, მგზავრობა უმეტეს შემთხვევაში უხიფათოდ არ ჩაუვლის ხოლმე, მაგრამ რა უნდა ჰქნან?

რადგან ენკენობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ცაგერზედაც უნდა ვსთქვათ ორიოდე სიტყვა. ცაგერი სძევს მდ. ცხენი-წყლის მარცხენა ნაპირას, თითქმის კლდის ძირში, რომელიც ძლიერ სიცხეს უგზავნის ხოლმე ზაფხულობით, და ვაკე ადგილი უქირავს. სვანეთსა და ცაგერსა ჰყოფს ერთმანეთისაგან მურის (ლანლანდაშის) კლდეები, რომლებს შუაც ისე ვიწროდ ჩაჰქუხის ცხენის წყალი, რომ შორიახლოდან გეგონებათ—აქ კაცი კი არა, ბუზიც ვერ გაეტევა და ვერც ზემოდ გაფრინდებაო. მართლაც რომ ჩინებული ბუნებრივი საზღვარია! ძნელი გასავალია და ამიტომაც არის, რომ სვანეთისაკენ ძნელად თუ შედის რაიმე კარგი...კანონიც რომ ვერ გატია ამ ოხერსა და ტიალში!—„მური ბოგ ლეჟვ კანონ დეშ ხედნი, დეშ ხასკდა ოჯღა-ერე ნაბჭწი ლახ ხარ! (მურის ხიდს ზევით კანონი ვერ ამოვა, ვერ გამოეტევა იმიტომ, რომ ვიწრო სავალი აქვსო!)—ამბობს სვანი და არცა სცდება. კანონს თუ ვერ გაუფართოვეს გზა, აბა სწავლა განათლება ან სხვა რამე როგორ შევა!

ენკენობა (ბაზრობა) ცაგერში იწყება 14 ენკენისთვეს და გრძელდება დამლევამდისინ. ამ დროისათვის მოდიან ლაილაშსა, ქუთაისსა, ხონსა, რაჭსა და სამეგრელოდან ვაჭრები, რომელთაც მოაქვთ სხვადასხვა გვარი უბრალო საქონელი და სოფლელებს ძვირფას ნივთებად ატყუებენ. აქ ერეკებიან სვანეთსა და ჩრდილოეთ კავკასიიდან (ესენი მაჰმადიანები არიან) უამრავ ხარსა და ცხენს, რომელიც ბლომად საღდება, მაგრამ, რათ გინდათ, მეორე დღეს უთუოდ მოგპარავენ. არსად იმდენი ცხენი არ იკარგება, რამდენიც ენკენობის დროს მთელს ლეჩხუმის მაზრაში! ასე რომ ამ ენკენობას ჯერ-ჯერობით ზარალის მეტი არა მოაქვს-რა...

მართლა, კინაღამ დამავიწყდა: მურის ხიდი (ცაგერშია) კარგა ხანია წყალმა დაანგრია და ეხლა ორი ბორანი მუშაობს იმის მაგიერ (ქვეითი იხდის 2 კ., ცხენოსანი 5 კ.); ეს არ აკმარეს და ენკენობისათვის ბოგირი გააკეთეს კერძო კაცებმა იმ პირობით, რომ ქვეითისათვის ქირა არ უნდა გადაეხდევინებინათ, მაგრამ პირობა არავინ არ აასრულა... მოგახსენეთ, რომ ქურდობა სვანეთშიაც გახშირდა-მეთქი. ამან თქვენი ჭირი წაიღოს, სხვაგვარი დანაშაულობაც ბევრია: კაცის სიკვდილი, ჩხუბი, ფიცის გატეხა, მიხდომა, გალანძღვა, მოტაცება, ძალადობა და სხვა. ერთის სიტყვით, ყოველივე ცუდი გადმოდებ სენსავით მოედო სვანეთს, მეტადრე ლაშხეთისა (სადადიანო სვანეთშია) და მესტიის (თავისუფალს სვანეთშია) საზოგადოებებს. ყველაზედ უფრო შესამჩნევი გარემოება ფიცის გატეხაა, იმიტომ რომ ძველად სვანს ფიცი ძლიერ სწამდა. ფიცის გატეხა ძველად ძვირად ხდებოდა და თუ ვინმე გატეხდა, იმ სოფელში ვეღარ იცხოვრებდა და შორს უნდა გადახვეწილიყო. ამ გარემოების მეოხებით (ფიცის გატეხით) ბევრი დანაშაული რჩება დაუსჯელად, რადგან მოწმე სიცრუეს დაუზარელად ამბობს. მიზეზად ამ მოვლენისა გაზეთებსა და სასამართლოებში ბევრს რამეს ასახელებენ, სხვათა შორის, სარწმუნოების დაცემასაც. ვერ ვიტყვით, რომ ამასაც არა ჰქონდეს წილი ამ მოვლენასთან, მხოლოდ ჩვენ მოვიხსენიებთ ერთს გარემოებას.

როგორც ზემოდ მოგახსენეთ, სვანს ფიცი ძლიერ სწამდა და ეხლაცა სწამს, მაგრამ ეხლანდელ ფიცს ის არჩევს „ფიცის ფუძელის ფიცს“ (ასე ეძახის ეხლანდელ ფიცის მიღებას). საქმე ის არის, რომ სვანეთში ორგვარი ფიცი იყო: ერთი უბრალო, ეგრედ წოდებული „ლიზანელ“ (წარმოსდგა სიტყვა „ნაზანი“-საგან),—მართლაც ფიცის მიღების დროს ხატის ნაზანს ამყვებდნენ; მეორე, უფრო მძლავრი ფიცი იყო, „გარცამ“ (წარმოსდგა

2 იანვარს **მკვდარი უნახავთ ბინაში**, შუბლში ტყვია ნაკრავი.

◆ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სადგომში ამ ჟამად გამოფენილია ახალგაზრდა მხატვრის მეფარიშვილის **მშვენიერი მოზაიკური სურათი—თამარ მეფე**. სურათი ღირს 250 მანეთად.

◆ მეტრაქტირეთა და საზოგადოდ მაგარ სასმელებით მოვაჭრეთათვის **სავალდებულო დადგენილებანი** შეიმუშავეს, გამგეობამ და ამტკიცა და ამ მოკლე ხანში საბჭოს წარუდგენენ დასამტკიცებლად. სავალდებულო დადგენილება შეეხება სასანიტარო წესებს ვაჭრობისას, წეს-რიგს ამ ვაჭრობისას და რად არ შეიძლება ან როდის მაგარ სასმელებით ვაჭრობა. ეს წესები შეუდგენია ქალაქის სასანიტარო ნაწილს, სავაჭრო-სამეურნეო უფროსს ზედამხედველს და ტფილისის პოლიც-მეისტერს.

◆ ბორჩალოს მხარეს, სოფელ შაგალის ახლო, საფრანგეთის კაპიტალისტებმა **სპილენძის მადანის** სადნობი ქარხნის მოწყობა დაიწყეს შარშან. როგორც გადმოგვცეს, ეს ქარხანა სრულებით დაუმთავრებიათ და ამ თვეში მუშაობასაც დაიწყებსო.

◆ შაბათს, 4 იანვარს, სახელოსნო სასწავლებლის გამგე კომიტეტსა და იურისტებს კრება ჰქონდათ ამის გამოსაკვლევად, რამდენად კანონიერია ამ კომიტეტის არსებობა, რომლის უკანონობა სცნო ტფილისის გუბერნატორმა და მისწერა კიდეც ეს ამბავი ქალაქის მოურავის მოადგილეს. შეერთებულ კრებას ის აზრი გამოუთქვამს, რომ კომიტეტის არსებობა კანონიერად უნდა ჩაითვალოს, სანამდე სახელოსნო სკოლის წესდება ძალაში არისო.

◆ ხმოსან ს. ზ. მირზოევს განცხადება წარუდგენია ქალაქის მოურავისათვის საბჭოს მოსახსენებლად, რომ სოლოლაკის მთაში გვირაბის გაყვანის შესახებ მოხსენება საბჭოს მორიგ საქმეთა რიცხვიდან სრულებით ამოღებულ იქმნესო, იმიტომ რომ გვირაბის გათხრის ნება ინჟინერთ ბრაილოვსკიმა და ხატისოვმა უნდა გამოითხოვონ თვით ადგილის მესაკუთრესაგან—სახელმწიფო ქონებათა სამმართველოსაგან—ხოლო ტეხნიური ნაწილი, რაც-კი გვირაბს შეეხება, შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკუთვნის და მხოლოდ იმან უნა დართოს ამის ნებაო. ამ მოსაზრებით ქალაქის სამმართველოს საქმეც არა აქვს ამ ინჟინერების სათხოვართანაო.

◆ ქალაქის გამგეობის 1901 წლის ანგარიშის **სარევიზიო კომისიის** მოთხოვნილებით, გამგეობამ დაადგინა: სარევიზიო კომისიას ყოველი ცნობები, რომელიც კი საჭიროდ იქნება იმისათვის რევიზიის დროს, დაუყოვნებლივ მიეცესო; თუ საჭირო იქმნება ამა თუ იმ მოსამსახურის დასწრება კომისიის კრების დროს, კომისიამ წინ-და-წინვე აცნობოს ეს ამბავი გამგეობას, რომ ამის განკარგულება მოახდინოს. რაც შეეხება საქმეებისა, თუ ქაღალდების სახლში დაბარებას სენატის განმარტების ძალით (1878 წლის 13 სექტემბერი № 6338) ხმოსანს არ შეუძლიან ეს, თუ თვითონ გამგეობა არ გამოაცხადებს ამის თანხმობასაო.

◆ კავკასიის სამთა-მადნო სამმართველოს უფროსის თანაშემწე მ. ი. ჩენგერი ამ დღეებში ბორჩალოს მაზრაში მიდის იქაურ სამადნეულო ქარხნების დასათვალიერებლად.

◆ პოლიციას მეეზოვეებზე ბრძანება გაუცია, ქუჩა-ტროტუარები თოვლ-ტალახისაგან გაასუფთავეთო.

◆ ამას წინად ტფილისის მოქალაქემ ჩიქოვანმა სთხოვა საგუბერნიო საამშენებლო განყოფილებას, ნება მიეცათ იმისთვის ნავთლუღში გაეკეთებინა რკინის აუზები ნავთის შესანახად, რომ შემდეგ იქიდან ქალაქში ეზიდა გასასყიდად. საამშენებლო განყოფილების შეკითხვაზე, ამის საწინააღმდეგო ხომ არაფერი აქვს ქალაქის გამგეობასაო, ამ უკანასკნელმა შეატყობინა გუშინ, რომ ნებას ვერ მივცემთ ჩიქოვანს სანავთე სადგურის გასამართავად, რადგანაც ჩიქოვანმა სრული გეგმა არ წარმოადგინა, ხოლო მის მიერ წარმოდგენილ გეგმით სადგური მცხოვრებთათვის საშიში იქნებაო.

◆ ტფილისის პოლიციის მესამე განყოფილების მოქაულმა გუშინ წინ შეატყობინა პოლიცმეისტერს: გამოძიებით აღმოჩნდა, რომ „ტფილისის კრუჟოკში“ უწესობის მომხდენნი არიან ნადვორნი სოვეტნიკი ვიქტორ შამროვი და სათადარიგო ჯარის პორუჩიკი ცირული. აღნიშნულ პირთ ბანქოს თამაშის დროს ჩხუბი მოსვლიათ; ცირულს უსროლია ჭიქა და შამროვისთვის მარჯვენა თვალი დაუზიანებია. საქმე წარედგინა პირველ მომრიგებელ მოსამართლის გამომძიებელს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა ყოველ წლიურად ქალაქის პოლიციის უფროს ზედამხედველს, რომელსაც ხშირად უხდება ქალაქის სხვა-და-სხვა კუთხეებში სიარული, დაუნიშნოს ფეხის ქირად 240 მან.

◆ ტფილისის გამგეობამ გაუგზავნა გზათა ინსტიტუტის სამექანიკო ლაბორატორიას გამოსაკვლევად 12 ნიმუში იმ ქვებისა, რომლითაც ტფილისის ქუჩების საუკეთესოდ მოკირწყლა უნდათ.

◆ როგორც ამიერ-კავკასიის რკინის გზის ჟანდარის სადგურიდან გვატყობინებენ, ლიანდაგი ამ სადგურის მახლობლად გაუწმენდიათ თოვლისაგან და მატარებლები უკვე დაიარებიან.

◆ დღეს, 8 იანვარს, ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე სიღნაღის მაზრის მცხოვრების მამედ ალი-სოიუნ ოღლისა, იბრაჰიმ-ხალილ მურტუზალისა და ბორჩალოს მაზრის მცხოვრებ მაჰმედ და მაშ. თანდრივერდი-ოღლისა. ორს პირველთ ბრალდებათ [illegible] ბრბოში მონაწილეობა, ხოლო ამ უკანასკნელთ—ყაჩაღთა ბრბოს დამალვა სახლში.

◆ ბაქოდან გვატყობინებენ: 5 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე, რკინის გზის სადგურზე, მანევრების დროს ორი მატარებელი მსუბუქად დაეჯახა ერთმანეთს. მატარებელი და რამდენიმე ვაგონი ლიანდაგიდან გადმოვარდა. კაცს უბედურება არა შემთხვევია-რა.

◆ ვორონცოვის ქუჩაზე მცხოვრებს მირ სულდანოვს განუცხადებია პოლიციაში, რომ 6 იანვარს ყაზახის მაზრის მცხოვრებმა ალლან სულეიმან ოღლიმ მომპარა ოქროსა და ვერცხლის ნივთები, 865 მანეთისაო. ქურდი სადღაც გადამალულა.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. შავი-ქვის მრეწველთა კრებამ დივნად აირჩია დავით მდივანი.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქალაქის მოურავის დ. ა. ლორთქიფანიძის თხოვნით მეურნემ ვ. ი. ტიებომ ქალაქის გამგეობას წარუდგინა ვრცელი მოხსენება იმის შესახებ, თუ რა სასარგებლო იქნება ქალაქისათვის, რომ სალორიის აგარაკში გაშენდეს დაუმყნელი ვაზი-მადლარი. მოხსენების ავტორი ამტკიცებს, რომ ამგვარ ვაზს ძალიან ნოყიერი ნიადაგი არ სჭირდება, ნაკლები მოვლა და ხარჯი უნდა, ფილოქსერასა და სხვა ავადმყოფობას, აგრეთვე ყინვას, ადვილად იტანს და ღვინოც უკეთესის ხარისხისა დგება. 1899 წელს ბ-ნ ტიებოს საფრანგეთიდან თხუთმეტის ჯიშის გიბრიდი გამოუწერია, თავისს მამულს „კლო ქგურულ“-ში გაუშენებია და დარწმუნებულა, რომ ამგვარს ვაზს დიდი მომავალი ექნება ქუთაისის გუბერნიაში. ამგვარად გაშენებული ერთი დესიატინა მადლარი წელიწადში 1000—1500 ფუთს ყურძენს მოგვცემსო.

ავტორის გამოანგარიშებით, ათს დესიატინა მიწაზე გიბრიდების გაშენებას, მოსამსახურეებისთვის სადგომების აგებას, საჭირო იარაღისა და სხვა წვრილმან ნივთების ყიდვას ერთდროულად დასჭირდება 4,000 მან., შემდეგ კი ყოველწლიურად დაჭირდება: პირველ წელს—1200 მან.; მეორეს—1400 მან.; მესამეს—1400 მან.; მეოთხეს—1350 მან.; მეხუთეს 1400 მან.; მეექვსეს—1500 მან.; ესე იგი—ექვსის წლის განმავლობაში სულ 8300 მანეთი დასჭირდება. ამავე დროს განმავლობაში, მესამე წლიდან დაწყებული, ქალაქს ექნება ვენახიდან შემოსავალი: მესამე წელს—500 მ.; მეოთხეს 1500 მ.; მეხუთეს—5000 მან.; მეექვსეს—10000 მან.; სულ ექვსის წლის განმავლობაში 17000 მანეთი.

ამგვარად, ექვსის წლის განმავლობაში ქალაქს დარჩება წმინდა შემოსავალი 8700 მან.; მეშვიდე წელს და შემდეგ კი წმინდა შემოსავალი იქნება 8500 მან. გარდა ამისა, თუ ნიადაგს სასუქი მოეყარა,—რაც ქალაქისთვის ძლიერ ადვილი საქმეა საყასბოს სიახლოვის გამო,—მაშინ ყოველ-წლიური შემოსავალიც იმატებს.

◆ შაბათს, 4 იანვარს, ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის დარბაზში მ. ლ. გველესიანისა და მ. ო. ვარდოსანიძის თაოსნობით, საკვირაო სკოლის ქალ-ვაჟთ გაუმართეს საბავშო საღამო. ჯერ აჩვენეს ბუნდოვანი სურათები; შემდეგ მოსწავლეებმა წაიკითხეს ქართულად ლექსები. ამას მოჰყვა ცეკვა და სიმღერა. ბოლოს დაურიგეს ხილი, კამფეტები და წიგნაკები. ბავშვების სიხარულებას საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ არა ნაკლებ ნასიამოვნები დარჩნენ ისინიც, ვინც მათ სიხარულებას დაესწრნენ.

რუსეთის ქრონიკა

◆ ამ ცოტა ხანში გზათა მინისტრი სახელმწიფო საბჭოს გადასცემს განსახილველად პროექტს რკინის გზების ადგილობრივ დაწესებულებათა რეორგანიზაციის შესახებ.

◆ სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა გამომკვლევ ხარკოვის საგუბერნიო კომიტეტისთვის საერობო მოღვაწეს ნ. ნ. კოვალევსკის წარუდგენია საინტერესო მოხსენება. თავის მოხსენებაში კოვალევსკი ასახელებს მიზეზს სოფლის დაცემა-დაქვეითებისას. აი ეს მიზეზები: 1) სკოლათა რიცხვის სიმცირე და საზოგადოდ სწავლა-განათლების მოუწყობლობა; 2) საზოგადოებრივ და კერძო თვით-მოქმედების შევიწროება-შეზღუდვა; 3) ბაზრის უქონლობა და სოფლის ნაწარმოებზე ფასის დაცემა; 4) დიდი გადასახადები; 5) სასოფლო-მეურნეობის მოთხოვნილება-საჭიროებათა აუსრულებლობა. „როდესაც,—სწერს კოვალევსკი მოხსენების ბოლოში,—ამ უმთავრესს მიზეზებს ავიცილებთ, დანარჩენ გაჭირვებას საზოგადოების თვით-მოქმედება მოიშორებს თავიდანო“.

თეატრი

შინაური წარმოდგენა. ორშაბათს, 6 იანვარს, წიგნების გამომცემელთა ამხანაგობის სტამბაში სცენის-მოყვარე ასოთ-ამწყობებმა მეორე შინაური წარმოდგენა გამართეს. წარმოადგინეს რუსულად ფარსი რუტკოვსკისა „Убійство въ домѣ № 37“ და ქართულად ა. ცაგარლის კომ. „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“-ის ორი უკანასკნელი მოქმედება. ამ მეორე წარმოდგენამაც ისევე კარგად ჩაიარა, როგორც პირველმა. მოთამაშეებს მეცადინეობა არ დაეკლოთ და მშვენივრად მომზადებულიყვნენ. დასასრულ დივერტისმენტი იყო. წაიკითხეს ლექსები, შეასრულეს სიმღერები და სხვა. ანტრაქტების დროს უკრავდა ორკესტრი. დამსწრენი, ასოთ-ამწყობნი, სტამბის სხვა მოსამსახურენი და იმათი ნათესავნი, ნასიამოვნები დაბრუნდნენ შინ.

ქუთაისი. პარასკევს, 3 იანვარს, სახალხო წარმოდგენების მოთავეებმა დასდგეს ქუთაისის სცენაზე „სკაპენის ცუღლუტობა“ და „ადამ და ევა“. წარმოდგენას იმდენი ხალხი დაესწრო, რომ არც ზევით და არც ქვევით ადგილი არ დარჩენილა გაუყიდველი. წინად ხან-და-ხან ლოჟები რჩებოდა გაუყიდველი, მაგრამ ეხლა, როდესაც ეგრედ წოდებულს არისტოკრატიას აღარ უშვებენ პარტერსა და კანდარაზე, უკანასკნელი იძულებულია ლოჟებში იყიდოს ადგილი; თითო სკამი ლოჟებში 75 კაპ. ჰღირს. წარმოდგენამ, განსაკუთრებით ვოდევილმა, კარგად ჩაიარა. ბ-ნი ლათეიშვილი ორსავე პიესაში დახელოვნებულ მსახიობს არ ჩამოუვარდებოდა (კომედიაში სკაპენი, ვოდევილში — ივანიკა); ყოველი მისი სიტყვა და მიხვრა-მოხვრა სიცილს იწვევდა საზოგადოებაში. ძლიერ კარგი იყო აგრეთვე ბ-ნი ფრანგულიანცი „სკაპენის ცუღლუტობა“-ში ჟირონდეს როლში.

სახალხო წარმოდგენა ავლაბარში. ორშაბათს, 6 იანვარს, ავლაბრის თეატრის სცენის მოყვარეებმა ქართულ თეატრის დაარსების სახსოვრად გამართეს სადღესასწაულო წარმოდგენა აპოთეოზით. წარმოდგენილ იქმნა „გაცრუებული იმედები“ აზიანისა და „გაყრა“ გ. ერისთავისა. ორივე პიესამ მწყობრად ჩაიარა. წარმოდგენის შემდეგ აპოთეოზი გაიმართა. სცენაზე იდგა გიორგი ერისთავის სურათი. ბ-ნმა ივანიძემ წაიკითხა შესაფერი ლექსი; შემდეგ იმედაშვილმა ხალხს გააცნო ვინაობა გიორგი ერისთავისა და მნიშვნელობა სცენისა. ბოლოს მეველიშვილმა წაიკითხა ანგარიში ავლაბრის სახალხო თეატრისა. როგორც ამ ანგარიშიდან სჩანს, სცენის მოყვარეთ ჯერეთ სულ 7 წარმოდგენა გაუმართავთ ხალხისათვის და სამ თუმნამდის ზარალი მოსვლიათ. წმინდა შემოსავალით, თუ მომავალ წარმოდგენებიდან რამ დარჩება, სცენის მოყვარენი აპირებენ ავლაბრელებს სამკითხველო დაუარსონ.

12 იანვრისათვის დანიშნულია წარმოსადგენად „და ძმა“ გუნიასი.

პარასკევს, 3 იანვარს, ნავთლუღში სცენის მოყვარეთ გამართეს საქველმოქმედო აზრით ქართულ-რუსული წარმოდგენა. წმინდა შემოსავალი 150 მან. სცენის მოყვარეებმა უნდა გაუგზავნონ შემახასა და [illegible] მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარებელ კომიტეტს.

წერილი აფხაზეთიდან

მოურავები და მოიჯარადრეები

როგორც სხვაგან, აფხაზეთშიაც მემამულეებს დიდ ძალი ადგილი უჭირავთ და მოიჯარადრეებად გლეხები ჰყავთ. მოიჯარადრენი თითქმის სულ სამეგრელოს მკვიდრნი არიან; ესენი უმწეობის გამო გადმოხვეწილან და თავისით ცოლ-შვილით სხვის მამულში დასახლებულან, რომ დღიური ლუკმა მაინც იშოვნონ და შიმშილს დაახწიონ თავი. მოიჯარადრე აქ მემამულეს აძლევს მეოთხედს მოსავლისას, მაგრამ თუ გაიანგარიშებთ, რამდენს ჯარიმას ახდევინებს მოურავი, რამდენ მეტს წაართმევს, მაშინ გამოვა, რომ მოიჯარადრე მემამულეს თითქმის ნახევარსაც აძლევს. ეს კიდევ არაფერია; სანამ ბუნებით მდიდარი ნიადაგი არ გამოფიტდება, ეს იმდენად საზარა-

---

სიტყვა „გ-რდაცემა“-საგან). ეს უკანასკნელი ასე ხდებოდა: გამოასვენებდნენ ეკკლესიიდან რომელსამე ძლიერს ხატსა („უცხვ“-უცხო) და დაასვენებდნენ ჯოხზედ, რომლის ქვეშაც უნდა გასულიყვნენ დაფიცებულნი დასამტკიცებლად თავიანთს ფიცისა. ხატის დამჭერი, იგივე დამფიცებელი, ამბობდა სვანურად შემდეგს სიტყვებს: „დიდო ღმერთო! ყოვლის მომწყე (დამბადებელი) შენა ხარ! ეხლა ეს შენა გფიცულობს: თუ გატეხოს და გულში შესცვალოს (ფიცი),—ციდან წვიმა და თოვლი მოდის, მიწიდან მოლი და ბალახი ამოდის; წყალს ქვა მოაქვს; დიდი წყალი ქვიშას იღებს;—შენმა გამტეხმა ამდენი თეთრი ხარი და თეთრი ცხვარი გიძღვნას, მაღალო ღმერთო, მაინც ამის ამოუგდებლად ნუ დადგები: სააქაოს სიცოცხლე მოუსპე, ცუდი სენი შეჰყარე, რომ მოკვდეს; საიქიოს ცხონება არ მისცე; ქრისტესათანა წილი ნუ ექმნების, ფისის ტბასა და ჭირში ჩააგდე. დღეს მე ამ კაცს ვაფიცებ და ვერ გაიტანოს (არ შეასრულოს), ასე მოეპყარი. ქრისტემ რომ თავისი მოციქულები იხილოს და ღვთის მშობელმა სეფისკვერი მიიღოს, ამა ფიცის გამტეხი კაცის ამოუგდებლად არ დადგე!

მართლაც გადაცემასა ჰგავს ეს ფიცი და არცაა საკვირველი, თუ მას ვერც წინადა სტეხავდნენ და ვერც ეხლა.

ზემოდ მოგახსენეთ რაღაც სწავლა-განათლების შესახებ და ისევ იმას დავუბრუნდეთ. მთელს სადადიანო სვანეთში ერთის სკოლის მეტი არა აქვს საეპარქიო საბჭოს. დირექციას კი აქვს ორი სკოლა, მაგრამ რაღ გინდა, ქართულს არ ასწავლიან, თუმცა ლა იგი ყველასათვის საჭიროა, რადგან აქეთ ქართული ყველამ იცის. არავინ არ გამოჩენილა იმისთანა კაცი, რომ ხალხს აუხსნას საქმის გარემოება და კეთილს გზაზე დააყენოს!.. სწორედ სამარცხვინო დრო დადგა! რატომ შეგნებულნი მაინც არ იზრუნავენ ხალხის ინტერესების დაცვისათვის? ეს ინტერესები ხომ მათიცაა? თუ-კი თავად-აზნაურნი თავად-აზნაურობის ღირსების დამტკიცებისათვის, რომელსაც მათ არავინ არ წაართმევდა, ასე ბევრს ხარჯავდნენ (ბევრმა თავიც გადააგო), ეროვნების უფლებებისათვის ორიოდე სიტყვას მაინც რატომ არ ჰხარჯავენ.

ლეჩხუმის თავად-აზნაურობას მთავრობამ წინადადება მისცა სამოქალაქო სკოლის დაარსების შესახებ ცაგერში. ამას წინად, ვგონებ 14 ოქტომბერს, ცაგერში შეიკრიბა ლეჩხუმის თავად-აზნაურობა ამ საგნის შესახებ მოსალაპარაკებლად. ბევრი იმ აზრისა იყო, რომ ხსენებული სასწავლებელი ლეჩხუმს წამოაყენებს და ამიტომ შემწეობა აღმოუჩინოთო (საიდან აძლევენ შემწეობას გვიკვირს).

ვინც უნდა ვიყო.

დო არ არის მოიჯარადრესთვის. საგოდებო ის არის, რომ ადაგ-ადაგ მოურავებმა ნამეტან სამკაცრეს მიჰყვეს ხელი, ისე რომ იმით თვითნებობას საზღვარი არა აქვს. ერთის თავადის მამულის მმართველმა გამოუცხადა ერთ სოფელში მოიჯარადრეებს, რომ არამც და არამც ამიერიდან არც ერთი ღორი არ იყოლიოთო; ჯერ კიდევ გამოცხადების წინა დღეებში მმართველს შეუნიშნავს, რომ შარაზე ღორი დაცვივნულ კაკალს ქექდა, ამაზედ განრისხებულა, შარას სთხრიან ღორებიო, და ორიოდე იქვე მოუკლავს. შემდეგ ამისა ზემოხსენებული ბრძანება გაუცია. სოფელი ძალიან შეწუხდა. რა ვქნათ, რა წყალში ჩავვარდეთ, ამბობენ გლეხნი, სხვაგან სად წავიდეთ, მამული არა გვაქვს, აქ-კი დარსაც არ გვიყენებენო. უხორცოთ როგორ დავხვდეთ დღესასწაულ-უქმეებს, შობას და ჯვრისას! მართლა და რატომ არა ჰფიქრობს ბ-ნი მოურავი, რომ სოფელი უშინა პირუტყვოდ ვერ გასძლებს. თვითონ მოურავიც სამეგრელოს მკვიდრია და სოფლელთა იქაური მეზობელი და რატომ არ შედის ხალხის მდგომარეობაში? ესეც არ აკმარა მოურავმა და მოიჯარადრეებს წელს თოხ-თოხი ფუთი სიმინდი ზედ მეტი გადაახდევინა თითო-კომლს.

უცნობი

ღია წერილი ბატონ ვ. სტაროსელსკის

მოწყალეო ხელმწიფევ! 1901 წელს იყო დაბეჭდილი გაზეთ „ცნობის ფურცელში“ შენიშვნა ერთის მასწავლებლისა, ვითომ ამერიკულ ვაზს „რიპარიას“ (დიდგულას) გაუჩნდა ისეთი ჭირი, რომელიც ერთს ვერშოკს ქვევით მიწაში ღრღნის და შემდეგ ვაზი ერთბაშად ხმება. ეს ამბავი მოედვა მთელს ზემო მხარეს და დღეს ეს ვაზი ხალხს უვარგისად მიაჩნია. ერთმა ჩემმა მეზობელმა მითხრა: რად გინდა, მაგ ვაზს რომ აშენებ სანერგედ? ეგ ვაზი უვარგისია, ოთხის წლისა მაქვს და უნდა ავჩეხო. მე არ მოვუწონე და ვურჩიე, რომ არ აეჩეხა. მართლაც, დაკვირვების შემდეგ 1902 წელს, გახმა ერთი ძირი ჩემი ვაზი და სამიც ჩემის მეზობლისა. არ ვიცი, რომელი ვაზია-რუპესტრი თუ რიპარი (დიდგულა). ის მიმტკიცებდა, რომ რიპარია (დიდგულა) არისო. ახლა, მოწყალეო ხელმწიფევ, გთხოვთ, თქვენს შრომას ეს წვლილიც დაუმატოთ და ბეჭდვითის სიტყვით გამოაცხადოთ ამ ვაზის ავ-კარგი, რათა არ შესდგეს მეშაკის ხელი და მით ზარალი არ მოუვიდეს.

თქვენი უმორჩილესი მონა დარისპან გრიგოლის-ძე ცუცქირიძე.

სოფელი ზვერი

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ამ ჩემს მცირე წერილს *) ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთში და ამასთან ეს ათი მანეთიც გადასცეთ დანიშნულებისამებრ-„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. გულითადად ვულოცავ ჩემს ნაცნობთ და ნათესავთ ახალ წელს და ვუსურვებ ბედნიერ სიცოცხლეს. ბოდიშს ვითხოვ, რომ არ ვუგზავნი სათითაოდ მისალოც წერილებს. იმ ხარჯს, რაც წერილების დაგზავნაში მომივიდოდა, ვწირავ „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“.

პატივის ცემით

ნიკიფორე მოსეს-ძე ჯანელიძე

1902 წ., 27 დეკემბერი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 იანვარი

პეტერბურგი. 4 იანვარს კრონპრინცი სადილად იყო დიდის მთავრის ალექსი ალექსანდრეს ძის სასახლეში; 5 იანვარს ლუტერანთა წმ. პეტრეს ეკკლესიაში იყო, საუზმედ მათ უდიდებულესობათან, დაათვალიერა იმპერატორის ალექსანდრე მე III მუზეი და გერმანიის საელჩოში გერმანელთა დეპუტაცია მიიღო.

— 5 იანვარს საფრანგეთის მხატვართა ნაწარმოების გამოფენა გაიხსნა.

ბერლინი. გაზ. „ნაციონალ ცაიტუნგ“-ი ამბობს: ორ იმპერიას შუა არაფერი არ არის ისეთი, რომ შეტაკება გამოიწვიოს; სამეფო საგვარეულოსა და იმათ მთავრობათა მეგობრული დამოკიდებულობა, რომელიც უმაღლესს გვართა მოგზაურობით გამოიხატება, თვით ხალხების მშვიდობიანობის სურვილს შეეთანხმებაო. ამ გვარი პოლიტიკური მდგომარეობა ხელს შეუწყობს, რომ ეკონომიურ სხვა-და-სხვაობაშიაც ერთმანერთ შორის მორიგება ჩამოაგდონ. ორსავე სახელმწიფოსათვის საჭიროა თავ-თავიანთი ნაწარმოები ერთმანერთს შეუცვალონ.

— კრონპრინცის პეტერბურგს წასვლისა გამო გაზ. „პოსტ“-ი სწერს: კრონპრინცის სადღეგრძელოდან სასიამოვნოდ ვრწმუნდებით, რომ ორ ხელმწიფეთა შორისი მეგობრობა მემკვიდრეზედაც გადადის და ორ მმართველ სახლეულობათა შორისი მეგობრული კავშირი ხელს შეუწყობს იმას, რომ მეგობრულად დაამთავრონ მოსალოდნელი პოლიტიკური უთანხმოება და ამით საზოგადო მშვიდობიანობაც წარმართონ.

ლიონი. კრონპრინცესა საქსონიისა და ქირონი 4 იანვარს აქ მოვიდნენ და ვენტიმილიისაკენ მიმავალ მატარებლით გავიდნენ, ალბად, მენტონას მიდიან. 5 იანვარს მარსელზე გაიარეს.

მადრიდი. ესპანიის ელჩი ტანჟერიდან დეპეშით იტყობინება: სულთანის მომხრე 25 ათასი კაბილნი ტაცაზე მიდიან საომრად, სადაც ტახტის მოდავე ხალხს აჯანყებს; დანარჩენ კაბილთ ჯერ ეშინიათ მოსალოდნელ სასჯელისა და არ იძვრიან, მოლოდინში არიან.

იოჰანესბურგი. საზოგადოების აზრი იმაზეა მიქცეული მთავრობას უნდა სამხედრო გადასახადის სესხი 30 მილიონი გირვანქა სამხედრო გემების აშენებას მოახმაროს; ჰფიქრობენ, ორანჟეს კოლონიაზე ამ სესხის ნაწილის გაწერა არ მოხერხდება. ჩემბერლენმა ბანკეტზე გამოსთქვა, რომ მთავრობას განზრახვა აქვს, პარლამენტს კანონ-პროექტი წარუდგინოს უზრუნველ-ყოფილის 35 მილიონ გირვანქა სესხის შესახებ, რომელიც უნდა მოჰხმარდეს ტრანსვაალის ეხლანდელ ვალის გასტუმრებას, რკინის გზების გამოსყიდვას და ახალის გზების აგებას და 30 მილიონიც—სამხედრო ვალების გადახდისათვისო.

ტანჟერი. აქაური გარნიზონი დაბრუნდა. ტანჟერის ხალხები დაჰმორჩილდნენ, გარდა აინდალიეზისა. უკანასკნელ ამბებიდანა სჩანს, რომ ფეცში სრული მშვიდობიანობაა. ზემურისა და ზურუარის ხალხებმა ჯარები გაჰგზავნეს ტაცის წინააღმდეგ. 31 დეკემბერს სულთანის ჯარები აჯანყებულებს შეეტაკნენ, ცოტა დაიღუპა. ვითომ სულთანის ჯარები ძალიან დაზიანდნენო, ტყუილი ხმებია.

ხარკოვი. სადგურ ლიუბოტინზე ხარკოვიდან საქვეო კალათი მოვიდა; გახსნეს და უცნობი კაცის გვამი აღმოჩნდა. გამომგზავნი გამოცხადდა კვიტანციითა და დაიჭირეს. გამოიკვლიეს და კატორგიდან გამოქცეული აღმოჩნდა.

ვაშინგტონი. პალატის კომისიამ დაადგინა, წინადადება მიეცეს პალატას ოთხი ახალი საომარი გემი იქმნეს აგებულიო.

6 იანვარი

კონსტანტინოპოლი. თოვლის ქარბუქია; ზღვაზედაც და ხმელეთზედაც ბევრი უბედურება მოხდა. ყოველ მხარეს გზები შეიკრა.

მენტონა. საქსონიის კრონპრინცესა და ქირონი მოვიდნენ.

ოდესა. „ვედომოსტი ოდ. გრადონაჩალსტვა“-ში დაბეჭდილია: „2 იანვარს ოდესის საპყრობილეში მამაკაცების არეულობა დაიწყო, დარიგებამ არ გასჭრა. საპყრობილის დარაჯთ რევოლვერები გაისროლეს, ერთი ტუსაღი მოჰკლეს, ერთიც დაიჭრა. ორი როტა ჯარი გამოითხოვეს. წესიერება დამყარებულია. 3 იანვარს დედაკაცების განყოფილებაში მოხდა უწესოება. გამოწვეულმა ჯარმა ორჯელ გაისროლა, ერთი ტუსაღიქალი მოჰკლეს. წესიერება დამყარებულია“.

კარაკასი. გერმანიის სამხედრო გემი „პანტერ“-ი ცდილობდა მარაკაიბოს სრუტესაკენ გასულიყო, მაგრამ ერთი საათის ყუმბარების დაშენის შემდეგ, თავი დაანება თავის განზრახვას. სიმაგრეები არ დაზარალებულა. შეიტყეს თუ არა ეს ამბავი აქაურ მკვიდრთ, დემონსტრაცია მოახდინეს.

პეტერბურგი. 5 იანვარს გერმანიის საელჩოში სადილი გაიმართა კრონპრინცის პატივსაცემლად; დაესწრნენ: ბავარიის ელჩი, მინისტრები ფინანსთა, სამხედრო და შინაგან საქმეთა და ზოგიერთი იმპერატორის ამალიდან.

— 6 იანვარს ნათლიღების პარადი იყო მათ უდიდებულესობათა და კრონპრინცის თანადასწრებით.

— 6 იანვარს კრონპრინცმა ხელმწიფე იმპერატორს გერმანიის იმპერატორის სახელობით საჩუქრად მოდელი მიართვა უკანასკნელის ჯავშნიან გემისა.

გიბრალტარი. ჩრდილო გერმანიის ლოიდის გემი „ლან“-ი ტუნარის ახლოს გაირიყა. 1500 მგზავრია ამ გემზე. დასახმარებლად გემი მოვიდა, მაგრამ „ლან“-ი ადგილიდან ვერ დასძრა; ხალხი და ბარგი უნდა გადმოიღონ მეორე გემზე.

ხარკოვი. სადგურ ლიუბოტინზე აღმოჩენილის გვამის მკვლელები დაიჭირეს.

7 იანვარი.

პარიზი. გარდაიცვალა კორესპონდენტი „ტაიმს“-ისა ბლოვიცი.

პეკინი. დიდის ამბით აკურთხეს ჩინეთის მთავრობისაგან დადგმული ძეგლი ბარონ კეტტელერისა.

კონსტანტინოპოლი. დიდის თოვლისა გამო ახლო მიდამოებსა და თვით ქალაქშიაც მიმოსვლა შეუძლებელია. უკანასკნელი ფოშტა მიღებულია 4 იანვარს, შემდეგ-კი საფოსტო მიმოსვლა შეჩერებულია.

ვარშავი. ამუდარინის გემი „იმპერატორი ნიკოლოზი“ კლდეთან ქვას დაეჯახა და დაიმსხვრა. გემის უფროსი და 112 მგზავრი გადაარჩინეს.

კონსტანტინოპოლი. კუმკაპუში, საკათედრო ტაძარში წირვის დროს აფთიაქის შეგირდმა სომეხმა რევოლვერი ესროლა სომეხ-გრიგორიანთა პატრიარქს ორმანიანს და მხარში მოახვედრა. ჭრილობა საშიში არ არის. ბოროტ-მოქმედი, როგორც სჩანს სომეხთა კომიტეტის თანამოაზრე, დაიჭირეს.

ბორისლავი. დაიწვა ორი ნავთის ჭა. ხალხს უბედურება არა შემთხვევია-რა. ცეცხლი, რომელიც მუშათა გაუფრთხილებლობის გამო გაჩნდა, ჩააქრეს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების“ მაღაზიაში და ა. როინაშვილის ფოტოგრაფიაში იყიდება

წმ. ნინოს

ახალი სურათი. ფასი 40 კაპ.

ამერიკულ ვაზის სანერგეს

„კლდე-ყურულ“-ში

იყიდება დამყნილი ფესვებიანი ვაზი და დასამყნობი რქა ადგილობრივ და საზღვარგარეთულ ჯიშისა.

იყიდება აგრეთვე გიბრიდები

სეიბელი, კუდერი, ლაკოეტი, პარდი, ქუფრო, ნაუსე და სხვა.

მრავლად არის ამერიკული ვაზი დამყნილი და დასამყნობი. რიპარია გლუარისა და რუპესტრის გარდა არის შვიდის ჯიშის ვაზი სხვა-და-სხვა ნიადაგისათვის.

განცხადება და პრეისკურანტი მსურველთ უსასყიდლოდ ეგზავნებათ. ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის: В. Тьебо, Кутаисъ. (2—1)

წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში

იყიდება 1903 წლის

კალენდრები

1) კედ. კალენდარი ფასი 40 კ.; 2) საქართველოს კალენდარი გუნიასი—50 კ.; 3) პატარა ჯიბის კალენდარი—20 კ.

შეიძლება ფასდადებით გაიწეროთ: Тифлисъ, Грузинское Издательское Т—во, ლორის-მელიქოვის ქუჩა.

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

განქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

მიიღება ხელის-მოწერა 1903 წლისათვის ორკვირეულს გამოცემათა ქართულ

„მწყემს“-ზე

XX წელიწადი

და

რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზე

XVIII წელიწადი

ჟურნალის ფასი:

12	თვით „მწყემსი“	3 მ.	6	თვით „მწყემსი“	2 მ.
12	„ რუსული	3 მ.	6	„ რუსული	2 მ.
12	„ ორივე გამოცემა	5 მ.	6	„ ორივე გამოცემა	3 მ.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა ყვირილაში რედაქციაში, ქუთაისში ბ-ნ ესტატე დამბაშიძესთან, ტფილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან, ახალ-სენაკში—ბლაღოჩინ მამა არ. კანდელაკთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთებს დავუთმობთ მთელის წლით ორივე გამოცემას სამ მანეთად.

რედაქცია იმყოფება დ. ყვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала «МЦКЕМСИ» и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიაც იბეჭდება და მსურველთაც შეეძლება დაიბარონ რედაქციიდან. (3—2)

ГОДЪ XIX.

Открыта подписка на 1903 г.

на издающуюся въ городѣ Ставрополѣ-Кавказскомъ общественно-литературную и политическую газету

„СѢВЕРНЫЙ КАВКАЗЪ“

Выходящую три раза въ недѣлю—по вторникамъ, четвергамъ и субботамъ—и посвященную выясненію нуждъ края, названіе котораго она носитъ.

Въ промежуточные дни—среду, пятницу и воскресенье выходятъ телеграммы.

Съ 1903 года газета будетъ выходить при новомъ составѣ сотрудниковъ. Во всѣхъ городахъ, селахъ и станицахъ Сѣвернаго Кавказа приглашены постоянные корреспонденты.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: съ доставкой и пересылкой: на годъ—5 р. 50 к., полгода—3 р., 3 мѣс.—1 р. 75 к., 1 мѣс.—60 к.; безъ доставки и пересылки: на годъ—4 р. 50 к., полгода—2 р. 50 к., 3 мѣс.—1 р. 50 к., 1 мѣс.—50 к. Для учителей сельскихъ школъ—5 р. въ годъ.

Допускается разсрочка платежа—по соглашенію съ редакціей.

Годовые подписчики на 1903 годъ, внесшіе при подпискѣ всю подписную сумму, получаютъ газету со дня подписки безплатно.

Адресъ: Ставрополь-Кавказскій, редакція „Сѣвернаго Кавказа“. Телефонъ № 36. Пріемъ объявленій: въ Ставроп.-Кавк. въ редакціи „Сѣв. Кавк.“; въ Москвѣ и Петербургѣ въ конт. Торг. Дома Л. и Э. Метцль и К°.

(ზ. 3—2) За издателя наслѣдники *В. В. Беркъ.* Редакторъ *Д. И. Евсѣевъ.*

---

*) ეს წერილი გვიან მივიღეთ ფოსტიდან.

Дозв. ценз. Тифлисъ, 7 января, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)